

## უფროსების კომენტარები ბავშვის მიერ შესრულებულ დავალებასთან დაკავშირებით

ეს კომენტარები, რომლებსაც უფროსები ბავშვის მიერ შესრულებულ დავალებასთან დაკავშირებით აკეთებენ, როგორც წესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ თვითშეფასებასა და მოტივაციაზე. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები სხვადასხვა სიტუაციაში ნათქვამის შინაარსის უკეთ განსაზღვრაში დაგეხმარებათ:

ბავშვმა შეასრულა გარკვეული დავალება, თუმცა მისი ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია თუკი ბავშვი მათ ძალისხმევას მიმართავს.



შეაქეთ ბავშვი დავალებაზე მუშაობისთვის, აღნიშნეთ რომ ეს კარგი დასაწყისია, შემდეგ კი ჰკითხეთ რას ფიქრობს თავად შესრულებულ დავალებაზე, არის თუ არა მისი აზრით ეს მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეუძლია.

ბავშვმა წარმატებით გაართვა თავი ამა თუ იმ დავალებას, თუმცა არ ანიჭებს ამას სათანადო მნიშვნელობას.



ასეთ შემთხვევაში სასურველია ბავშვს დაეხმარეთ საკუთარი წარმატებული ქმედებების გაცნობიერებაში.

ბავშვმა ვერ შეძლო სასურველი მიზნის მიღწევა, მიუხედავად იმისა რომ ბევრი იშრომა ამისთვის.



უთანაბრდნეთ, მაგრამ ამავე დროს ხაზი გაუსვით იმას, თუ როგორი მნიშვნელოვანი იყო მის მიერ გაწეული ძალისხმევა. შემდეგ კი ჰკითხეთ მისი აზრით, როგორ შეუძლია სიტუაციის გამოსწორება ან მომავალში დავალების უკეთ შესრულება.

ბავშვმა წარმატებით გაართვა თავი დავალებას და თავადაც აცნობიერებს ამას.



ჰკითხეთ, მისი აზრით რა დაეხმარა წარმატების მიღწევაში. ასეთი მიდგომით განუმტკიცებთ აზრს, რომ წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია თანმიმდევრულობა და შრომისა და შესაბამისი ძალისხმევას განევა.